

მსოფლიო ბანკი ჰესების ეფექტზე

radiotavisupleba.ge/a/მსოფლიო-ბანკი-ჰესების-ეფექტზე/29500691.html



- დააბარალებს ეკონომიკას
- გაუძვირებს ელექტროენერჯის ტარიფს მოსახლეობას
- "ნენსკრაჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტი გაჭირდება.

ამგვარი დასკვნის შესაძლებლობას აძლევს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ მსოფლიო ბანკის „ფისკალური ხარჯებისა და ტარიფების ზემოქმედების შეფასება“. შეფასება ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით დაინერა და მასში მიმოხილულია სამი დიდი ჰესის - „ნენსკრაჰესის, ნამახვანისა და კოროხეთის ჰესების ფისკალური ეფექტი.

ამოსავალი, რომლის მიხედვითაც გაანალიზებულია მომავალ წლებში ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ფასების დინამიკა, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებები საჯარო არ არის, სხვადასხვა დოკუმენტის ანალიზი (მათ შორის ხარჯების სარგებლის ანალიზი, გარემოზე ზემოქმედების ანალიზი, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კვლევები) აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ხელი აქვს მონერლი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაზე, რაც რამდენიმე რამეს ნიშნავს.

მსოფლიო ბანკის ანალიზის მიხედვით

- ნენსკრას შემთხვევაში საუბარია ელექტროენერჯის მზარდ ტარიფზე ყოველწლიური 3%-იანი ესკალაციის განაკვეთით, ანუ 20 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მოუწევს 5 მილიარდ 632 მილიონი ლარის გადახდა ინვესტორისთვის.

- ნენსკრას საექსპორტო პოტენციალი - დაბალი. ვინაიდან თურქეთში ელექტროენერჯის ფასი შემცირდა. თუ 2014-2015 წლებში 1 კვვტ/სთ 8,5 ცენტი ღირდა, დღეს მისი ღირებულება 4,5 ცენტია. რუსეთში 3,5 ცენტიდან შემცირდა 2 ცენტამდე.
- თუ ნენსკრას მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტზე გაყიდვა ვერ მოხერხდა, გარანტირებული შესყიდვის ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მისი საფასურის გადახდა მაინც მოუწევს.
- სავალუტო კურსის ცვალებადობა: მსოფლიო ბანკის თანახმად, 2023 -2026 წლების პერიოდში სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო შესაძლებელია დამატებითი ფისკალური ხარჯები წარმოეშვას სახელმწიფოს 350-დან 500 მილიონ ლარამდე. ამის მიზეზი ისევ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასია, ხელშეკრულება გაფორმებულია ამერიკულ ვალუტაში, ცენტში, მაშინ როცა სახელმწიფოს შემოსავლები აქვს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

როგორ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ინვესტორს ეს თანხა?

„ერთი რომ ტარიფში აისახოს ეს თანხა, პესიმიტური გათვლით, 2030 წლისთვის ელექტროენერჯის ტარიფი შეიძლება გაიზარდოს დღეს არსებული 12,5 თეთრიდან 22,7 თეთრამდე ან, თუ ეს ზრდა ტარიფში არ აისახა, ეს უნდა გადაიხადოს ბიუჯეტმა და წარმოიშობა კვაზიფისკალური დანახარჯები კომერციული ოპერატორისთვის“, - ამბობს „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი.

„ნენსკრაჰესი“, 280 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, საქართველოს ყოველწლიურად 1'200.00 გიგავატ.სთ ელექტროენერჯით მოამარაგებს, რომელიც მთლიანად ადგილობრივ ბაზარს მოხმარდება. საქართველო (აფხაზეთის ჩათვლით) წელიწადში, დაახლოებით, 10 მილიარდ კვვტ/სთ ელექტროენერჯიას მოიხმარს. უცნობია, ზუსტად რომელი ქყენებიდან და რა ფასად ყიდულობს საქართველო ელექტროენერჯიას.


დავით ჭიპაშვილის თქმით, ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის გაფორმებული ბარტერის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში სომხეთი საქართველოს აწვდის 1 კვვტ/სთ ენერჯიას, საქართველოდან მიღებული 1,1 კვვტ/სთ ელექტროენერჯის სანაცვლოდ.

„მწვანე ალტერნატივის“ მიერ მსოფლიო ბანკის დოკუმენტზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის პასუხად, ეკონომიკის სამინისტრომ წერილი გაავრცელა და მხოლოდ ასე უპასუხა საზოგადოებაში გაჩენილ შეკითხვებს.

„რეალურად, დაახლოებით, ერთი წლის წინ მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა მოამზადეს სამუშაო ხასიათის რეკომენდაციები, რომელიც შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი და არ იყო საბოლოო დასკვნა. რეკომენდაციები გულისხმობდა მხოლოდ ერთ ასპექტს - ფისკალურ ანალიზს.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში ენერჯეტიკის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და მასშტაბურია უცხოელი ინვესტორებისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან დიდი სერიოზულობითა და სიფრთხილით ვეკიდებით მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის ფასის საკითხებს.

შესაბამისად, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ვმუშაობთ ენერჯეტიკის სექტორის განვითარების ოპტიმალურ სტრატეგიაზე, რათა, ერთი მხრივ, მოსახლეობის ინტერესები იყოს დაცული, მეორე მხრივ კი, კიდევ უფრო განმტკიცდეს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



ნინო ხარაძე

ნინო ხარაძე არის რადიო თავისუფლების ჟურნალისტი 2010 წლიდან.